

## მოყვარე თუ მტერი

(პირველად დაიბეჭადა გაზეთ „ივერიაში“ 1904 წ. N133)

წარსულის წლის დამლევს პეტერბურგში გარდაიცვალა ჩვენს მხარეში კარგად ცნობილი ვასილი ველიჩკო. ჩვენებურს პრესას არ შეეძლო თავისი აზრი არ წარმოეთქვა ამ მწერლის მნოშვნელობაზე და კიდევ წარმოსთქვა. ქართულმა უხუცესმა გაზეთმა მოწინავე წერილი უძღვნა გარდაცვალებულს, რომელშიაც იგი გამოიყვანა ჩვენ კეთილს-მყოფელად, მეგობრად და ამასთან მოუსყიდველ მოღვაწედ; მაგრამ სიტყვა ძლიერ მოკლედ მოსთქვა და სულ ერთად ერთის ფაქტის დასახელებით დაკმაყოფილდა. „ცნობის ფურცლის“ თანამშრომელმა სრულიად წინააღმდეგი შეხედულება წარუდგინა მკითხველებს: ველიჩკო ქართველების მტრად დასახა და მისი ნაწერებიდან მოიყვანა ყველა ადგილები, რომელთაც კი შეეძლოთ გაზეთის აზრის გამართლება მეტ-ნაკლებობით? უხუცესი გაზეთი მოვალე იყო ხელმეორედ დაბრუნებოდა ამ თემას და დაესახელებინა ყველა ფაქტები რომელნიც ასე, თუ ისე მოწმობდნენ ველიჩკოს მეგობრობას ჩვენდამი; მაგრამ, წარმოიდგინეთ, მან კრინტიც არ დასძრა. როცა რამდენსამე კვირის შემდეგ შევხვდი მეთაურის ავტორს და ვკითხე: რატომ პასუხი არ გაეცით თქვენს მოწინააღმდეგეს-მეთქი, მან მიპასუხა: ვისა სცალიან მაგისთანა გრძელი ლათაიებისათვის, მე არც-კი წამიკითხავს და პასუხს რაგვარად გავცემდიო.

ამ ცალმხრიანობამ და ბაასის დაუმთავრელობამ ის შედეგი მოიტანა, რომ ზოგის თვალში ველიჩკო დარჩა ჩვენ მტრად, ზოგს დღესაც იგი ჩვენ მეგობრად მიაჩნია.

ეს არ მოხდებოდა და მკითხველი უტყუარს, ჭეშმარიტს აზრს შეადგენდა ველიჩკოზე, თუ რომ თვითთულს ჩვენს გაზეთს ცალმხრივ არ შეეხედნა მისი ნამოქმედარისათვის, და ობიექტურად, მიუდგომლად და ამასთან ვრცლად აღენიშნა როგორც პასივი, ისე აქტივი, როგორც მეგობრული მსჯელობა და მოქმედება, ისე მტრული. მაშინ მკითხველი დარწმუნდებოდა რომ ნამდვილი სიმართლე იპოვება შუაგულს ადგილასა, მტრობისა და მეგობრობის შუა.

მე მწადიან ჩემი შეხედულება ამ საგნის შესახებ განუზიარო მკითხველსა, რათა დავეხმარო მას უტყუარის აზრის შედგენაში ველიჩკოს შესახებ. ნებას ვაძლევ ჩემს თავს წინ წავიმძღვარო მცირეოდენი პირადი მოგონება.

პირველად ველიჩკო გავიცანი ერთის ჩემის მეგობრის სახლში, რომელმაც მას სადილი გაუმართა, როგორც თავისს კარგს ნაცნობსა, და სტუმრად დაუპატიჟა რამდენიმე ქართველი მოღვაწე. მე მოვიწადინე კბილზე მეკრა მაშინვე ეს ახლად მოვლენილი კვერცხი და შემეტყო, რა გვარის მიმართულების ვაჟბატონთან გვექონდა საქმე. სადილის დროს მივმართე ველიჩკოს ამ საკითხით: განა ფრიად სამწუხაროა, რომ იმისთანა თავისებურს, ნიჭიერს და სიმპატიურს შტოს სლავიანთა ტომისას, როგორიც არის მალოროსიელთა ხალხი, ეღობებიან წინ დიდნი დაბრკოლებანი თავისს ნაციონალურს განვითარების გზაზე? მე მოველოდი სიმწუხარის

გამოცხადებას, მაგრამ მოვსტყუვდი. ველიჩკომ მიპასუხა: ...დიდს უმრავლესობას ჩვენის ხალხისას ახარებს ის ასიმილაცია ველიკოროსებთან, რომელიც ეხლა ჰხდება ჩემს სამშობლოში. ველიჩკოს თანმოგზაურმა ქალბატონმა, რომელსაც იგი თამამად ეძახდა დასა, მუჯღუგუნით უთავაზა გვერდში, თითქო უნდა ეთქვა: აგრე აშკარად ბანქოს გადაშლა პირველს ნაბიჯზედვე გაგონილაო!

როცა სადილი გათავდა, ჩვენებს ვუთხარი: მაგ კაცს არ აწუხებს თავისი საკუთარის სამშობლოს გადაგვარება, და ჩვენს ეროვნულს განვითარებას თანაგრძნობას და დახმარებას როგორ გაუწევს-მეთქი.

პასუხად მითხრეს: მალეოროსნი და ველიკოროსნი თითქმის ერთი და იგივე ხალხია; ჩვენ-კი დიდად განვსხვავდებით რუსებისაგან. ეს კარგად უნდა ესმოდეს ჩვენს ახალს სტუმარსა. ამას გარდა, თეორიული შეხედულება ხშირად არ ეთანხმება პრაქტიკულ მოქმედებასა, და ასიმილაციის მოტრფიალე ხშირად ხელს უწყობს საქმით ნაციონალურს მიმართულებასაო, ეს ამ შემთხვევაში მით უფრო მოსალოდნელიაო, რომ ეს ჩვენი ახალი სტუმარი გულწრფელი კაცია, რომელთანაც მორიგება ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე სხვებთან, რომელნიც სიტყვით არაფერს გვეუბნებიან, საქმით კი ძირს გვითხრიან დაუნდობლადაო.

ველიჩკომ მოინდომა ქართულის ენის შესწავლა. გადამეკიდნენ ჩვენები, შენ უნდა აძლიო გაკვეთილები, თორემ რომელსამე დოღრიალას აიყვანს და საქმე გაგვიფუჭდებაო. მეტი ღონე არ იყო, ვიკისრე. როდესაც პირველს გაკვეთილზე მივედი, ველიჩკომ მკითხა, რამდენს თვეს მოვუნდები ქართულის ენის შესწავლასაო? მე ვუპასუხე: ჩვენი ენა რუსულზე ადვილი არ არის, ხოლო რუსული ენა თვით ბისმარკმა რიგიანად ვერ შეისწავლა ორი წლის განმავლობაში, როცა ელჩად პეტერბურგში იყო, თუმცა ძალიან კი ცდილობდა-მეთქი. მე ბისმარკზე მეხსიერება ძლიერი უნდა მქონდესო, მიპასუხა. ღმერთმა ჰქმნას-მეთქი. მე ჩემი მხრივ ვეცდები სულ მოკლე გზით გატაროთ ქართულის ენის შესწავლაში-თქო. გადავუშალე „დედა-ენა“ იმ გვერდზე, სადაც დაბეჭდილია „მოდის ვნახოთ ვენახი“, და ვუთხარი: აი აქედან უნდა დავიწყოთ-მეთქი. როგორაო? ჯერ ერთი ასო არ ვიცი და მაგოდენა ლექსს როგორ წავიკითხავო? თუ ბისმარკზე ადრე გინდათ ისწავლოთ ჩვენი ენა უნდა დამემორჩილოთ-მეთქი. დავიწყეთ კითხვა და ერთის საათის განმავლობაში არამც თუ კითხვა ისწავლა ამ მოზრდილის ლექსისა ზეპირადაც დაიხსომა. თვით ლექსიც ძლიერ მოეწონა: ჩვენს რ ე კ ა ს ა ჰგავსო; მაგრამ უფრო კი შინაარსიანიაო. სწორედ გენიალური სიმარტივით შეუქმნია ეს ლექსი ქართველ ხალხსაო.

გავათავეთ თუ არა გაკვეთილი, რედაქციაში შემოვიდა ბ-ნი ვალერიან გუნია, რომელსაც მაშინ მახლობელი მეგობრობა ჰქონდა ველიჩკოსთანა. ამ უკანასკნელმა მას მიმართა ბავშვური სიხარულით: „ვალიკო, მომილოცე, პირველსავე გაკვეთილზე ქართული კითხვაც ვისწავლე და ვეებრთელა ლექსიც დავიხსომე, და ზეპირად წარმოსთქვა იგი ბოლომდინ, თუმცა კი ბორძიკით. „მოლოდდე. მოი ვასია“, შეაქო ვალიკომა. - არა, მოლოდდე აქ გამოდის ქართველი ერი, რომელსაც ასეთი უადვილესი ლექსი შეუქმნიაო, მიუგო მან.

მეორე გაკვეთილი ქართულის ენისა მესამე დღეს იყო, რადგანაც დღე-გამოშვებით ჰქონდა მას თავისუფალი ერთი საათი. როცა პირველი გაკვეთილის გამეორებას შევუდექით, აღმოჩნდა,

რომ წინათ ნასწავლი სულ მთლად დავიწყებოდა, და მეორე გაკვეთილი ლექსის ხელმეორედ შესწავლას მოვანდომეთ. გამიკვირდა, თუმცა ძნელი ასახსნელი არ იყო ეს დავიწყება. მთელი ყურადღება ველიჩკოსი დატყვევებული ჰქონდა გაზეთს „კ ა ვ კ ა ზ ს ა“: იგი იყო რედაქტორი, რომელიც ერთს სტრიქონს არ გაუშვებდა წაუკითხავად, სწერდა მეთაურს წერილებსა თითქმის ყველა ნომერში, სწერდა ფელეტონებსა, საბიბლიობრაფიო წერილებსა და თითქმის მთელს გაზეთს იგი ადგენდა. დღეში 16-18 საათს მუშაობდა და ძილს ახმარებდა მხოლოდ ხუთიოდე საათსა. ქართულს ენას-კი ანდომებდა მხოლოდ პაწაწკინა ნაწილს თავისი ყურადღებისას. ამის გამო, დღეს შესწავლილი ქართული სიტყვები ხვალ ავიწყდებოდა და მისი მეხსიერება სწორედ ცხრილს ემსგავსებოდა, რომელიც წყალს ვერ იჭერს, ერთის თვის შემდეგ მე ვუთხარი: ასე ენა არ შეისწვლება, ან მეტი დრო და ყურადღება უნდა მოვანდომოთ ქართულს ენასა, ან არადა მისი შეთვისება გადასდოთ სხვა დროსათვის, როცა ეგრე ძლიერ არ იქნებით დატვირთული ყოველ-დღიური საქმეებითა-მეთქი. აი ზაფხულში ფასანაურში აპირებთ წასვლასა, თან წაიყვანეთ რომელიმე ქართველი განვითარებული მოწაფე უფროსი კლასებისა, დაიჭირეთ ქართველი მოსამსახურე, ხშირად ილაპარაკეთ ქართველ გლეხებთან და მაშინ შეიძლება რასმე გახდეთ-მეთქი. „ფასანაურში ყოფნის დროს მე მწადიან რამდენიმე რომანი დავწერო, და ქართულის ენისათვის არ მეცლება“, მიპასუხა. მეტი ღონე არ არის, ჯერ-ჯერობით უნდა გამოვეთხოვო ქართულს ენასაო, და კიდევ გამოეთხოვა.

მე შევსწყვიტე ქართულის ენის გაკვეთილები და თითქმის ფეხი ამოვიკვეთე „კ ა ვ კ ა ზ“-ის რედაქციაში. რამდენიც დღე გადიოდა, იმდენი უფრო ვშორდებოდი ერთმანეთსა. მე მაშორებდა ველიჩკოსთან სამი რამ, პირველად, რეტროგრადული მიმართულება მისი, რომლის მიხედვით იგი თითქმის მტრის თვალით უცქერდა ბევრს რეფორმას იმპერატორის ალექსანდრე მეორისას, და უდროოდ სთვლიდა ჩვენში შემოღებას იმისთანა რეფორმებისას, როგორც არის ერობა და ნაფიცთა სამართალი. მეორედ, ველიჩკო ხშირად უხმობდა პოლიციას დასახმარებლად იმ ბრძოლაში, რომელიც მან ატეხა; მესამედ, ჰქადაგებდა რეპრესიულ ღონისძიებათა ხმარებას წინააღმდეგ ჩვენის მეზობელი ხალხისას. ეს უკანასკნელი ხინჯი ველიჩკოსი მე წინანდლებზე ნაკლებად არ მალეღვებდა ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი ესა, რომ ეს რეპრესიული პოლიტიკა ეწინააღმდეგებოდა ელემენტარულს კაცთ-მოყვარეობას, და მერმე უფრო იმიტომ, რომ რეპრესია გადამდები სენია სახადისავით, ხორელასა და შავი ჭირივით. თუ იგი დღეს დაატყდება თავს ჩვენს მეზობელს ხალხს, ხვალ ჩვენც მოგვადგება აუცილებლივ და ჩაგვიმწარებს სიცოცხლეს. მე ასე არა მარტო ვფიქრობდი, არამედ ხშირად ვეუბნებოდი მის ესრედ წოდებულს მეგობარსა და თვითონ ველიჩკოსაცა.

ამის გამო უბრალო ნაცნობობის გაგრძელებაც კი გაჭირდა ველიჩკოსთანა, იმის რედაქტორობის დროს მე „კ ა ვ კ ა ზ“-ში დავბეჭდე მხოლოდ ორი პატარა შენიშვნა, ისიც გასამტყუნებლად იმ აზრებისა, რომელნიც გამოთქმულნი იყვნენ იმ გაზეთში. როცა „Правда о Тифлисе“ არ დამიბეჭდა „ნოვოე ობოზრენიემ“, იგი დასასტამბად მივუტანე ველიჩკოსა, მაგრამ იმანაც უარი მითხრა სრულიად წინააღმდეგი მიზეზით: ზოგი ადგილი ძლიერ საწყენად ჩასთვალა ჩვენი ჩრდილოელი ერთმორწმუნეებისათვის. მე იძულებული შევიქენი ცალკე წიგნაკად გამომეცა, და საქმე ისე დატრიალდა, რომ ორივე რედაქციას მადლობის მეტს ვერას ვეტყვოდი: მთელი გამოცემა, რვა ასი ცალი, ორის კვირის განმავლობაში დაიტაცეს.

ამ წიგნაკს ველიჩკომ „კ ა ვ კ ა ზ“-ში უძღვნა ვრცელი საბიბლიოგრაფიო წერილი; მაგრამ როგორ? ქებით მოიხსენია ის ადგილები, რომლებიც აშკარა ხდიდნენ ჩვენი სამხრეთელის მეზობლების უმადურობას, ხოლო კრინტი არ დასძრა იმ საყვედურის შესახებ, რომელიც მიმართული იყო ჩრდილოეთისაკენ... ბოლოს, ურთიერთობა ჩემსა და ველიჩკოს შორის ისე გაცივდა, ისე დალეღეჭდა, რომ სალამის მიცემაც გვიძნელდებოდა ერთმანეთისათვის.

ასეც უნდა მომხდარიყო, თანდა-თან გამოაშკარავდა, რომ ველიჩკო იყო მომხრე დენაციონალიზაციისა და ასიმილაციისა რუსებთან ყველა იმ უცხო ხალხებისა, რომელნიც რუსთა ხელმწიფის ქვეშევრდომნი არიან. მე-კი ყოველთვის იმ აზრისა ვიყავი, რომ დენაციონალიზაციას აუცილებლად მოსდევს დემორალიზაცია, გახრწნა და დაცემა ერისა, მეტადრე იმისთანასი, რომელსაც თავისი საკუთარი ისტორიული ცხოვრება ჰქონია მრავალი საუკუნის განმავლობაში და საკუთარი კულტურა შეუქმნია. ყლორტი შეიძლება ამყნოთ სხვა ხეზე; მაგრამ თუ დასრულებულს და ხნიერს ხეს მოუნდომებთ ამას, იგი უსათუოდ დაჰკენება და გახმება.

მაშ, რითი უნდა ავხსნათ, რომ ზოგნი სამოციანი წლის მოღვაწენი, უნიჭიერენი მამულიშვილნი არ აკლებდნენ ველიჩკოს თავისს კარგს ნაცნობობას, მეგობრობასა?

ეს აიხსნება იმითი, რომ ველიჩკო უპირატესობას აძლევდა ქართველებს რუსეთის ყველა უცხო ტომთა შორის და რუსების შემდეგ პირველ ადგილს უთმობდა. მხოლოდ მარტო ქართველთათვის თხოულობდა თანაბარს უფლებას მებატონე ერთანა. როცა თბილისის სახაზინო პალატის თავჯდომარემ ბუტირკინმა ისარგებლა ველიჩკოს არ ყოფნით თბილისში და „კ ა ვ კ ა ზ“-ში დაბეჭდა ვრცელი წერილი შესახებ შავი ზღვის ნაპირების დასახლებისა და გაატარა ის აზრი, რომ იქ მხოლოდ რუსებს უნდა მიეცეს მიწა-წყალიო და სხვა არავისაო, ველიჩკომ დაუყოვნებლივ გამოგზავნა ვრცელი პასუხი რუსეთიდან, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ რუსების გარდა ქართველებს უნდა დაეთმოს შავი ზღვის პირად საცხოვრებელი ადგილებიო, რადგანაც მათ აუარებელი სისხლი დაუღვრიათ ამ ტერიტორიის დასაცველად ქრისტიანობისა და კულტურისათვის და ძლიერ საიმედო ელემენტს წარმოადგენენო.

ამ სტატიასთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა ერთს მისს მოზრდილ ლექსსა, რომელიც იმ ხანებშივე დაბეჭდა „ნედელია“-ში ველიჩკომ ამ სათაურით: „Две красивицы“. პირველ კეკლუცად გამოჰყავდა რუსეთი, მეორედ საქართველო, დაი პირველის კეკლუცისა. პირველი კეკლუცი დაი სავსებით გამოვიდა გაჭირვებულ მდგომარეობიდანაო, მეორე კი მეტად საშიშარს ყოფაში არისო, და პირველი დაი ხელს არ უწყობს, არ შველის, გულ-გრილად უყურებს თავის დის უბედურებასაო, რომელიც ლამის დაიღუპოსო. ლექსი იყო აღსავსე ისეთი თანაგრძნობით საქართველოსადმი, რომ მეტს ქართველი პოეტიც ვერ გაბედავდა.

როდესაც ასი წლის იუბილე რუსეთთან საქართველოს შეერთებისა იდღესასწაულეს, ველიჩკომ „მოსკოვის ვედომოსტებში“ დაბეჭდა მეთაური წერილი, რომელშიაც იგი დიდი სიაშკარავით უთვალისწინებდა რუსეთის საზოგადოებას საქართველოს ღვაწლს წარსულში, მისს აწმყო გაჭირვებას და თხოულობდა შეცვლას იმ შემავიწროვებელ პირობებისას, რომელნიც საშიშ მდგომარეობაში ამყოფებენ ჩვენს ერთგულს მოძმეებს-ქართველებსაო,

მეტადრე საჭიროდ სთვლიდა საქართველოს ეკლესიის მართვის ცვლილებას, გაუკეთესობასა.

ამ წერილს მოჰყვა სიმპატიური მსჯელობა ველიჩკოსი შესახებ დედა-ენის ხმარებისა სახალხო სკოლებში ჩვენში და რუსეთის სხვა უცხო ხალხთა შორის. აი მან რა სტრიქონები დაბეჭდა: „Русский вестник“-ში: „ქართველი, პოლონელი, თათარი და სხვა ჩვენებური უცხო ხალხი, უფრო ჭკვიანი, უფრო პატიოსანი და უფრო დოვლათიანი იქნებიან. თუ პირველ დაწყებითს სწავლებას მათ შორის მშობლიურს ენაზე მოვაწყობთ“.

მისი რომანი „უდავი“, ბორცოვის ფსევდონიმით დაბეჭდილი, ქართველებს ახასიათებს მომხიბლავი სიმპატიით, და ყველა მკითხველში დიდს თანაგრძნობას ჩვენის ხალხისადმი ჰზადავს და აძლიერებს. ამ ფრიად სასიამოვნო შთბეჭდილებას ახდენს და ასუსტებს მხოლოდ უსაზღვრო სიბოროტე და სიმულვილი სომეხთადმი, რომლითაც გაჟღენთილია ეს რომანი, უფრო მეტი ნიჭით და სიმარჯვით დაწერილი, ვიდრე სხვა მისი მოთხრობანი.

საზოგადოდ ველიჩკო უფრო მეტი სათამამით და მეტი თანაგრძნობით წერდა ქართველებზე, როცა სახელსა და გვარს არ აწერდა ქვეშ და ფსევდონიმის პირბადეს იფარებდა. მაგრამ ეს თანაგრძნობა აშკარად სუსტდებოდა და ირყეოდა. როცა უპირბადოდ გამოდიოდა მკითხველს საზოგადოების წინაშე. ეტყობოდა, რომ მას რაღაც აფიქრებდადა აშინებდა. რაა, სახელდობრ? ალბად ჩვენი დოღრიალობა, ჩვენი უტაქტობა, მამაცური ფრაზების ბავშვურად სროლა აფიქრებდა. ერთხელ ლაპარაკში სთქვა: მე დარწმუნებული ვარ, რომ ქართველებში რეალური სეპარატიზმი და ლალატი შეუძლებელია; მაგრამ ხშირად ზოგნი ინტელიგენტნი ისეთ ფრაზებს ისვრიან და ისე იქცევიან, რომ, თუ რუსი ახლოს არ იცნობს ქართველებს, სეპარატისტებად ჩასთვლისო. და ამას კი შეუძლიან ყოველს მათ მომხრე რუსს ნდობა დაუკარგოს რუსთა საზოგადოების და მმართველობის თვალშიო.

ექვს გარეშეა, რომ ველიჩკოში იპოვებოდა ნამდვილი სიმპატია ქართველებისადმი. ამ სიმპატიას იმითი ხსნიდნენ, რომ მას დიდება ქართველი ჰყავდაო, და მის სისხლში ქართული ელემენტი ერიაო. მაგრამ ამ სიმპატიას მეტად ასუსტებდა უკუღმართი მიმართულება და ხსენებული შიში და სწორედ ამითი უნდა ავხსნათ ის დიდი უნდობლობა, რომელნიც მან ერთს შემთხვევაში გამოიჩინა. სახელდობრ, მან დასწერა, რომ ამიერ კავკასიის რკინის გზა აერთებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქართველებსაო, და ეს კი საშიშია, რადგანაც ქართველები ნერვიანი ხალხიაო.

ზოგნი ჩვენებური ინტელიგენტნი იმ აზრისანი იყვნენ, რომ ველიჩკოს მტერ-მოყვარეობას ისევ წმინდა მტრობა სჯობიანო. დიაღაც ემჯობინებოდა, ჩვენი მდგომარეობა რომ მეტად კრიტიკული არ იყოს. მოგეხსენებათ, რომ რკინას ცემა სიმტკიცეს უმატებს და აფოლადებს; მაგრამ თუ თუჯს დაუშენთ დიდ ჩაქუჩებს, იგი კი არ გამაგრდება, გატყდება. ხან ხალხი არის რკინის მდგომარეობაში, ხან თუჯს მოგაგონებთ, და ბევრს ცემას ვერ აიტანს, ბევრს მტერს ვერ გაუძლებს. საუბედუროდ, ჩვენი სამშობლო ამჟამად თუჯს ემსგავსება. წოდებანი ერთმანეთს ებრძვიან, პროვინციალიზმი ჯერ კიდევ ძლიერია, ბატონყმობა ჯერ კიდევ არსებობს, ინტელიგენცია დაყოფილია პატარ-პატარა ჯგუფებად, საერთო პროგრამა არ არსებობს, და ყველა ამის გამოც ქართველობა შეკუმშულს ერს არ წაერმოადგენს. ამისთანა ყოფაში მტერ-

მოყვარენი მტრად არ უნდა გადავაქციოთ, მოწინააღმდეგე ძალა არ უნდა გავაძლიეროთ, თორემ ადვილად შეიძლება ერის ორგანიზმი სამუდამოდ გატყდეს, სუსტი თუჯივითა. როცა ჩვენი სამშობლო გამოვა ამ მდგომარეობიდან, ბატონ-ყმობა ფაქტიურად მოისპობა, პროვინციალიზმი გაქრება, ინტელიგენცია სოლიდარობის გზას მტკიცედ დაადგება და ჩვენი ერის სოციალური ორგანიზმი რკინის სიმტკიცეს მოიპოვებს, მაშინ თამამად და უშიშრად შეგვეძლება მტერ-მოყვრებს ზურგი შევაქციოთ და მათ წმინდა მტრობას სრულიადაც აღარ შევუშინდეთ.

ამ ჟამად კი მთელი ჩვენი ძალა და ღონე უნდა ვიხმაროთ იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელნიც სულ ჩვენს ძაგებაში არიან, ერთს კეთილ სიტყვასაც არ გვადირსებენ, საზოგადოების და მთავრობის თვალში სახელს გვიტეხენ, ჰოტენტოტებს გვამგსგავსებენ; იმ ცოტაოდენს რასმე, რაც კიდევ შეგვრჩენია, ხელიდგან გვაცლიან და უნამოსოდ გვიპირობენ გაქარწყლებასა, ერთი სიტყვით, მოსისხლე მტრობას გვიცხადებენ. აი საითკენ უნდა იყოს მიმართული ჩვენი ყურადღება, უნარი, გაბედულება და მოქმედება.

*ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა:*

სსიპ ქალაქ თელავის N5 საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლემ, **მარიამ ფროდიაშვილმა**

